საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი დაუცხრომლად ზრუნავენ სახალხო დეპუტატთა საბჭოთა ორგანოებისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება-განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალ პირობებში, როდესაც სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად ქვეყანაში წყდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების როლის ყოველნაირად ამაღლების თანამიმდევრულ კურსს კიდევ ერთხელ ნათლად ადასტურებს წლეულს ივლისში ისეთი ფუძემდებელი პოლიტიკური დოკუმენტების მიღება, როგორიცაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“.

ეს დადგენილებები გამიზნულია კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის საბჭოების დამოუკიდებლობის, აქტიურობისა და ინიციატივის შემდგომ ასამაღლებლად, ახალ შესაძლებლობებს უსახავენ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში, საშუალებას აძლევენ საქმით უზრუნველყონ შესაბამის ტერიტორიაზე ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების კომპლექსურობა, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ დეპუტატთა და საზოგადებრივი ფორმირებანი მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად მშრომელთა ფართო მასების დარაზმვისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებასა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ შესაბამის დადგენილებაში დაკონკრეტებულია რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანები, განსაზღვრულია საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათი როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი ორგანოების მიერ აღნიშნული დადგენილებათა განხორციელების ამოცანების განხილვას მიეძღვნა ყველა საფეხურის საბჭოების სპეციალური სესიები, აღმასრულებელი კომიტეტების გაფართოებული სხდომები. რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ სემინარ-ლექტორიუმებში, აგრეთვე დეპუტატთა სკოლებში ჩატარდა რიგგარეშე მეცადინეობანი საბჭოების მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის გამიზნულ დადგენილებათა შესასწავლად და განსამარტებლად.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა შეიძინეს დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი ხელმძღვანელობის გარკვეული დადებითი გამოცდილება. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილას მოქმედებს 4 ათასი დეპუტატთა ჯგუფი და საგუშაგო, რომელთა შემადგენლობაშია 20 ათასი დეპუტატი, ანუ თითქმის მათი საერთო რაოდენობის 40 პროცენტი. საქართველოს სს რესპუბლიკის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების მიღების შემდეგ რესპუბლიკის ბევრ რაიონში, ქალაქში, დაბასა და სოფელში დამატებით შეიქმნა ახალი დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, რომლებიც მოიცავენ ადგილობრივი საბჭოების ასობით დეპუტატს .

რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მოქმედებს 41 ათასზე მეტი საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანო, რომელიც თითქმის ნახევარ მილიონ კაცს აერთიანებს, აგრეთვე 56 მიკრორაიონთა საბჭო დიდ ქალაქებში. ისინი ხელს უწყობენ საბჭოების კავშირის განმტკიცებას მოსახლეობასთან, შრომითს კოლექტივებთან, საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ამომრჩეველთა განაწესების რეალიზაციას, ტერიტორიების კეთილმოწყობას, საცხოვრებელი ფონდის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფას, მოქალაქეთა კანონიერი მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას და თავისუფალი დროის ორგანიზაციას.

რესპუბლიკის შრომითი კოლექტივების მიერ ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის 10 თვის გეგმისა და ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევაში გარკვეული წვლილი შეიტანეს სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა, დეპუტატთა და საზოგადოებრივმა ფორმირებებმა, რომელთა საქმიანობა უფრო მიზანსწრაფი და კონკრეტული გახდა.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ბევრი სახალხო·დეპუტატთა საბჭო ნელა გარდაქმნის მუშაობას ახალი მოთხოვნების შესაბამისად. ზოგიერთი მათგანი პრაქტიკულად არაკი შესდგომია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების განხორციელებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა არ ეწინააღმდეგებოდეს წარმართვება საგგმო დავალებათა შესასრულებლად, გამოსაშვებ ციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ნედლეულისა და მასალების ეკონომიისა-თვის, სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოსაყენებლად, სამუშაოს გაცდ-ნების, მიწერებისა და თვალის ახვევის ფაქტების აღსაკვეთად; არ არის დაწუ-სებული ქმედითი კონტროლი მშენებლობის ხარისხისა და სოციალურ-კულტუ-რული დანიშნულების ობიექტების დროულად საექსპლუატაციოდ გადაცემა-სადმი. წლიდან წლამდე აუთვისებელია საცხოვრებელი სახლების მშენებლ-ბისათვის გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი. ხშირად საექსპლუა-ტაციოდ ბარდება არსებითი დეფექტების მქონე სახლები. ცუდად წყდება საბინაო ფონდის დაცვა-შენახვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგა-ნიზაციების, ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განთლებისა და კულტურის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხები.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები, ბევრი ნებაყოფლობითი სახალხო რაზ-მეული, წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტი, ამხანაგური სასამართ-ლოები კვლავ სუსტად ეწევიან პროფილაქტიკურ მუშაობას სამართალდარღ-ვევათა ასაცდენად, არ იჩენენ საჭირო აქტიურობასა და შეურიგებლობას უშრომელ შემოსავალთან, ლოთობასთან, ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასა და ხულიგნობასთან ბრძოლაში.

საბჭოების აღმასრულებლი კომიტეტები ჯეროვან ყურადღებას არ უთ-მობენ დეპუტატთა და საზოგადოებრივ ფორმირებათა მუშაობის გამოცდილე-ბის განზოგადება-გავრცელებას. რესპუბლიკაში მცირე რაოდენობით გამოდის ლიტერატურა დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის საკითხებზე.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებ-მა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღ-მასრულებელმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შე-მდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შე-სახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-ზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქარ-თველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, აგრე-თვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შესაბამისი დადგენილებით; ყოველნაირად მიაღწიონ ყველა საფეხურის საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების, დეპუტატთა და საზოგადოებრივ ფორმირებათა მუშაობის შემდგომ სრულყოფას, წარმართონ მათი ძალები XXVII კრების ისტორიულ წინასწარდასახულობათა განსახორციელებლად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შესასრულებლად.

2. საქართველოს სსრ საბჭოს პრეზიდიუმმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა:

სერიოზული ყურადღება დაუთმონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ დეპუტატთა ფორმირებებისათვის, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისათვის ორგანიზაციულ-მეთოდური და პრაქტიკული დახმარების დონის ამაღლებას, მიაპყრონ მათი ყურადღება ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაციას; განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭონ სოციალური პროგრამების შესრულებას: საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების, კლუბების, კულტურის სახლების მშენებლობას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას, მისი ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებას, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განვითარებას;

ყოველნაირად მიაღწიონ საბჭოების მუდმივ კომისიებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დეპუტატთა ჯგუფების თანამშრომლობის შემდგომ გაუმჯობესებას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მუშაობაში მშრომელთა ჩაბმის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას და საზოგადოებრივ ფორმირებათა სრულფასოვან ფუნქციონირებას, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების ხელმძღვანელთა სამართლებრივი ცოდნის დონის ამაღლებას;

დეპუტატთა ტერიტორიული ჯგუფების, მიკრორაიონთა საბჭოების, სახლის, ქუჩის, კვარტალის, სოფლის კომიტეტების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოების, ქალთა საბჭოების ძალები დარაზმონ ჯანსაღი ცხოვრების წესის, მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგისათვის საბრძოლველად, გადაჭრით აღმოფხვრან ლოთობა, მუქთახორობა, სპეკულაცია, ხულიგნობა, უშრომელი შემოსავალი, სხვა ნეგატიური მოვლენები.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა:

განაზოგადოს დეპუტატთა და საზოგადოებრივ ფორმირებათა ხელმძღვანელობისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მიერ გაწეული მუშაობის გამოცდილება და მათი საქმიანობის გარდაქმნის მიმდინარეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, ღრმად გააანალიზოს ისინი ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეთა მორიგ, მეორე რესპუბლიკურ კრებაზე, რომელიც მიეძღვნება XXVII ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ... ლებათა, „სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, „სკკპ XXVII ყრილობის გადწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების რეალიზაციის ამოცანების განხილვას.

4. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დასახონ და განახორციელონ მათდამი დაქვემდებარებული ადგილობრივი სამართალდამცველი ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ქმედითი ღონისძიებანი საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისათვის კვალიფიციური სამართლებრივი და პრაქტიკული დახმარების გასაწევად.

5. პრესის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმონ დეპუტატთა ფორმირებების და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების საქმიანობის დადებითი გამოცდილების გაშუქებას.

* *
*

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი ორგანოები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და გაღრმავების შესახებ პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად და მთელ ძალებს მოახმარენ მშრომელთა ფართო მასების, დეპუტატთა და საზოგადოებრივ ფორმირებათა დარაზმვას ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების უთუო შესასრულებლად, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განსამტკიცებლად, მოსახლეობის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი, 1986 წლის 29 ნოემბერი.
№ 81—XI ს.

ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

284 ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲐᲜᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

(იხ. № 12 უწყების დანართი)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

285 ᲖᲝᲒᲐᲓᲡᲐᲒᲐᲜᲐᲜᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲐᲥᲢᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(იხ. № 12 უწყების დანართი)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

286 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲐᲥᲢᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები:

1986 წლის 25 ივლისისა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-16 მუხლში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“;

1986 წლის 12 აგვისტოსი „საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების დებულების დამტკიცების შესახებ“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1986 წლის 22 აგვისტოსი „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებათა შეტანის შესახებ“.

1986 წლის 23 სექტემბრისა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 29 ნოემბერი.

№ 84—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

287 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შემავალი ცალკეული პირების თანამდებობაზე დანიშვნისა და განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1986 წლის 22 ივლისისა ამხ. ვალერიან გივის ძე **ბაქრაძის** საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით;

1986 წლის 1 სექტემბრისა ამხ. გელა გიორგის ძე **ლეჟავას** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ;

1986 წლის 10 სექტემბრისა ამხ. რევაზ მიტროფანეს ძე **ღლონტის** საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 26 სექტემბრისა ამხ. ირაკლი ათინოგენის ძე **მენაღარიშვილის** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ;

1986 წლის 26 ნოემბრისა ამხ. თეიმურაზ შალვას ძე **ხაჩიძის** საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 29 ნოემბერი.
№ 85—XI ს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

288 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდნენ დეპუტატები:

ვურამ იაგორის ძე **ჩიგოგიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

ლუდვიგ აქსენტის ძე **ღურწკაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის წევრის მოვალეობისაგან.

არჩეულ იქნენ დეპუტატები:

კონსტანტინე ვახტანგის ძე **კაპანაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების კომისიის **თავმჯდომარედ.**

ალექსანდრე იურის ძე **პავშენცევი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშვარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 29 ნოემბერი.
№ 86—XI ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

289 **ამხ. ე. კ. ხარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აკადემიკოსი ევგენი კირილეს ძე **ხარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 3 ნოემბერი.
№ 956—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

290 **ამხ. ი. ე. ბურავკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში უმწიკვლო და ნაყოფიერი სამსახურისათვის, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი იგორ ევგენის ძე **ბურავკოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 6 ნოემბერი.
№ 956ა—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

291 ამხ. ვ. ფ. ხიზგასა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. ვლადიმერ ფილიპეს ძე **ხიშბა** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 6 ნოემბერი.
№ 957ა—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

292 ამხ. თ. გ. ხითარიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბის უფროსი ოსტატი ამხ. თამაზ გიორგის ძე **ხითარიშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 11 ნოემბერი.
№ 959—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

293 ბოლნისის რაიონული გაზეთის „გაკვარჯვების დროშის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღსაზრდელად, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მათს დასარაზმავად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და პირველი ნომრის გამოსვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის 50 წლისთავთან დაკავშირებით ბოლნისის რაიონული გაზეთის „ოქტომბრის ... ვების დროშა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 12 ნოემბერი.
№ 959ა—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

294 ამხ. ვ. კ. გაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ, სამეურნეო ორგანოებში, კაპიტალური მშენებლობის დარგში აქტიური მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. ვილენ კონსტანტინეს ძე გაბაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 962—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

295 ამხ. ლ. ა. იაკოვლევას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ექსპერიმენტული ონკოლოგიის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის ექსპერიმენტული ონკოლოგიის ლაბორატორიის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლელიტა ანდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიას ასული იაკოვლევა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 963—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

296 ამხ. კ. ი. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოცდა წელთან დაკავშირებით თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კონსტანტინე ივანეს ძე **მახარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 960—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

297 ამხ. ა. ო. მოვსესიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ალექსანდრე ოგანეზის ძე **მოვსესიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 972—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

298 ამხ. ი. გ. ხელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კაპიტალური მშენებლობის, სამენ მასალათა მრეწველობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების, ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. იოსებ გიორგის ძე **ხელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჯარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 961—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

299 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბის თანამშრომლებისთვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისთვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბის თანამშრომლებს:

ბირიუკოვას ვალენტინა ემელიანეს ასულს — **მბეჭდავს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრიაშვილს ვაგზენ გიორგის ძეს — უფროს ოსტატს.
შაშიაშვილს ქეთევან ალექსანდრეს ასულს — უფროს კორექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 11 ნოემბერი.
№ 958—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

300 უმაღლესი სკოლის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

უმაღლესი სკოლის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“** მიენიჭოთ:

ვაშაკიძეს ვალერიან ვლადიმერის ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

კერესელიძეს რევაზ სიმონის ძეს — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროორექტორს.

კილბას კუკუშა ხარიტონის ასულს — აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

ლაშხიას შოთა ვიქტორის ძეს — აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს.

ლოზოვას ლუბოვ ალექსანდრეს ასულს — აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის დოცენტს.

რობაქიძეს გიორგი აბესალომის ძეს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის დოცენტს.

ჯინჯიხაძეს რევაზ სეითის ძეს — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფაკულტეტის დეკანს.

ჯინჯოლიას რაჟდენ ბაგრატის ძეს — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 971—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

301 საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაკთათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

აფციაურს ირა თეოდორეს ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამმართველოს ინსპექტორს.

გილაშვილს მაყვალა ზაქარიას ასულს — საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

თარხნიშვილს ნოდარ ალექსანდრეს ძეს — თბილისის მანქანათსაშენებელი ტექნიკუმის დირექტორს.

თოდუას რევაზ არჩილის ძეს — სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორს.

კაკაბაძეს ეაკა პავლეს ძეს — თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.

კვიფინაძეს სერგო გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამმართველოს უფროს ინსპექტორ-მეთოდისტს.

ლომთათიძეს გივი გალაქტიონის ძეს — თბილისის მანქანათსაშენებელი ტექნიკუმის სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების დირექტორს.

შინჯიკაშვილს შოთა კონსტანტინეს ძეს — თბილისის ი. ვოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის მასწავლებელს.

შიოშვილს გიორგი სერგოს ძეს — თელავის სამშენებლო ტექნიკუმის დირექტორს.

ჭუმბაძეს ლეილა გერონტის ასულს — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 970—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

302 ამხ. ვ. ა. თოლორდავასათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ავტონომიური რესპუბლიკის მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში წვლილისათვის აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტეტის კადრების განყოფილების უფროსს ამხ. ვლადიმერ ამირობის ძე თა-ლორდავას მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პოეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 967—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

303 ამხ. ე. ე. კაპბასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგეს ამხ. ენვერ ერასტის ძე კაპბას მიენიჭოს საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 964—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

304 ამხ. ო. პ. კვირიკაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამშრომელს ამხ. ოთარ პარმენის ძე კვირიკაძეს მიენიჭოს სასატ[illegible] „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 965—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

305 **ამხ. ე. კ. სიტნიკოვისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებლის“ სასატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ხანგრძლივი ნაყოფიერი საგამომგონებლო მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების გამგეს ამხ. ედუარდ კონსტანტინეს ძე სიტნიკოვს მიენიჭოს სასატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული გამომგონებელი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 969—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

306 **ამხ. ი. თ. სხირტლაძისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ სასატიო წოდების მინიჭების შესახებ**

პროფკავშირულ ორგანიზაციაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სამხედრო ნაწილის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ილია თევდორეს ძე სხირტლაძეს მიენიჭოს სასატიო წოდება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 966—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

307 ამხ. ე. ს. ფუხაშვილისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის გორის ფილიალის არქივისტს ამხ. ელენე სამსონის ასულ **ფუხაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილასვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშკარაველი.

თბილისი. 1986 წლის 14 ნოემბერი.
№ 968—XI

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1986 წლის 10 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის, 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებში წინასწარ განხილვის შესახებ.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 20 ნოემბრის დადგენილებით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სახელზე შემოსული წინადადებები და შენიშვნები, აგრეთვე განცხადებები და საჩივრები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დაევალათ მათ განხილვის შედეგები აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ავტორებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

28 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ განიხილა საკითხები: საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დღის წესრიგის, მუშაობის წესისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანის შესახებ, საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარ განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების მუშაობის დამთავრების თაობაზე, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონსა და საქართველოს სსრ სხვა საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ კანონთა პროექტების თაობაზე, საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ამომრჩევლებთან შეხვედრების ერთიანი კვირის ჩატარების შესახებ და სხვ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

1986 წლის 29 ნოემბერს გაიმართა საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ნ. ი. ლაღიძემ.

შეკრებილთა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კ. ა. ლორთქიფანიძის ხსოვნას, რომელიც სესიებს შუა პერიოდში გარდაიცვალა.

დამტკიცდა სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

დღის წესრიგში შეტანილ იქნა შემდეგი საკითხები:

1. ცვლილებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში.

2. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა და საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

3. საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

4. „სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოებისა და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მუშაობისადმი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ხელმძღვანელობის პრაქტიკის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

5. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონსა და საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებ[illegible] დამტკიცება.

გახხილება დღის წესრიგის პირველი საკითხი. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი დეპუტატი ვ. გ. ლორთქიფანიძე გადაყვანილია სხვა სამუშაოზე, იგი გაანთავისუფლეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან და პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ჯ. ვ. მარგველიძე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ო. გ. ვარძელაშვილმა.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დეპუტატი დ. ნ. დვალიშვილი.

დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების თანამოხსენება, რომელიც გააკეთა საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

მოხსენებებისა და თანამოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ა. ი. პავშენცევი — საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ი. ვ. შამუგია — გალის რაიონის ზემო ბარღების მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, ო. ნ. მარგალიტაძე — საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. რ. სანგბლიძე — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, დ. თ. სავანელი — საქართველოს კომპარტიის წოფელი წყაროს რაიკომის პირველი მდივანი, ნ. ა. ქელეხსაევა — ცხინვალის ქარხანა „მინანქარსადენის“ მუშა, ვ. რ. აბზიანიძე — ქუთაისის სახლსაშენებელი კომბინატის მემონტაჟეთა ბრიგადირი, ც. ჰ. ხოცანანი — ბოგდანოვკის რაიონის სოფელ კათნატეს ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, ვ. რ. ასათიანი — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, მ. მ. ერქომაიშვილი — მახარაძის რაიონის სოფელ შემომქედის კოლმეურნეობის მეჩაიე, ი. ე. ჭედია — „საქმთავარეწერგოს“ სამმართველოს უფროსი, ამხანაგი ი. ა. მენაღარიშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, დეპუტატი ა. დ. ზურაბაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

საბოლოო სიტყვით გამოვიდნენ დეპუტატები ო. გ. ვარძელაშვილი და დ. ნ. დვალიშვილი.

ერთხმად დამტკიცდა კანონები და დადგენილებები მეორე-მესამე საკითხებზე.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. გ. ბილაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საკითხზე კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნ. [illegible] საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი [illegible] ბახია — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მ. გ. შველიძე — რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ მჭყოველი, დ. გ. ჩუბინიშვილი — საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ამხანაგი ჯ. გ. უჩიძე — ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო შესაბამისი დადგენილება.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი დეპუტატი ა. ა. შუშანაშვილი.

ამ საკითხზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა, სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიების თანამოსენებით გამოვიდა საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ნ. ა. ფოფხაძე.

დეპუტატები ერთსულოვნად იღებენ საქართველოს სსრ კანონებს: „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე“ და „ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან და სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონის ახალი რედაქციის დამტკიცებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა. მიღებულ იქნა შესაბამისი კანონი და დადგენილება.

სესიაზე შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების შემადგენლობაში.

ამით საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

„სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 21 ნოემბრის ბრძანებულებებით ვადამდე შეწყვეტილად ჩაითვალა თელავის რაიონის № 226 იყალთოს, ზესტაფონის რაიონის № 239 ძირულის, ქ. თბილისის კიროვის რაიონის № 47 ბარათაშვილის საარჩევნო ოლქებიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების გურამ ივანეს ძე გეფაძის, ოთარ მიხეილის ძე ივანაშვილისა და ლია გიორგის ასულ ლომიძის უფლებამოსილება.